ხელშეკრულება

მომსახურების შესყიდვების შესახებ

ქ. ქუთაისი 20.06.2022 წელი

ერთის მხრივ, შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია'' (ს/ნ 412750713) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გიორგობიანის (შემდგომში ''შემსყიდველი'') სახით და მეორეს მხრივ, შპს - ,,გორგია" (ს/ნ 245621288) დირექტორის მინდობილი პირი ნინო სალდაძის სახით (შემდგომში ''მიმწოდებელი'') ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიისთვის'' - CPV 42131400 - სანტექნიკური მოწყობილობების ონკანები, სარქველები, ვენტილები -130,98 ლარი, CPV 31440000 ელემენტები - 10,50 ლარი და CPV 39525800 საპრიალებელი ტილოები - 1,5ლარი -ის საერთო ღირებულებით 142,98 ლარი შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს - 142,98 (ასორმოცდაორი ლარი და ოთხმოცდათვრამეტი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შპს ''ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის'' დირექტორი გიორგი გიორგობიანი

4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

6.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

6.4. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

6.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6.7. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

6.8. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს - 20.05.2022- 20.06.2022

10. რეკვიზიტები

‘‘შემსყიდველი“	‘‘მიმწოდებელი“
შპს ’’ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია’’	შპს. ,,გორგია“
ქ. ქუთაისი სულხან-საბას გამზ. N 71ა	ქ. ქუთაისი ჭავჭავაძის გამზირი. N 8/4
ს/ნ 412750713	ს/ნ 245621288
ბანკი: თიბისი ბანკი	ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22	ანგარიშის N: GE62TB1007536020100008
ანგარიშის N: GE40TB7541334070100001	
ტელ: 599257117	
Email: Kutaisitransportcompany2020@gmail.com	

George Giorgobiani 60002006197 Digitally signed by George Giorgobiani Date: 2022.06.21 22:29:16

_____ გიორგი გიორგობიანი

Nino Saldadze Digitally signed by Nino Saldadze Date: 2022.06.22 15:21:22

_____ნინო სალდაძე